

არაკეთილსინდისიერი სუბიექტის მონაწილეობის შეზღუდვა სახელმწიფო
შესყიდვებში

გიორგი ნასყიდაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნეს
სამართლის ფაკულტეტზე ბიზნეს სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ბიზნეს სამართლის პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: უჩა ძიმისტარაშვილი, სამართლის მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ხელმოწერა: _____ გიორგი ნასყიდაშვილი

თარიღი: 21.06.2018

აბსტრაქტი

ნაშრომის მიზანია არაკეთილსინდისიერი სუბიექტის სახელმწიფო შესყიდვაში მონაწილეობის შეზღუდვის შესახებ ევროკავშირსა და საქართველოში არსებული კანონმდებლობის, ლიტერატურის და სასამართლო გადაწყვეტილებების მიმოხილვა.

უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ საკითხთან დაკავშირებით საქართველოში თითქმის არ არსებობს ლიტერატურა და მწირია სასამართლო გადაწყვეტილებებიც. თუმცა, ნაშრომის დასკვნით ნაწილში განხილული იქნება ის რეკომენდაციები, რომლებიც საჭიროა საქართველოში არაკეთილსინდისიერი სუბიექტის სახელმწიფო შესყიდვაში მონაწილეობის შეზღუდვის სტანდარტის ამაღლებისთვის.

ნაშრომი შედგება ხუთი თავისაგან. პირველ თავში მოცემულია შესავალი, მეხუთე თავი შედგება დასკვნითი ნაწილისაგან. მეორე თავში განხილულია ზოგადი დებულებები არაკეთილსინდისიერი სუბიექტის სახელმწიფო შესყიდვაში მონაწილეობის შეზღუდვასთან დაკავშირებით. მესამე და მეოთხე თავებში განხილულია ევროკავშირის და საქართველოს ლიტერატურის, კანონმდებლობის და სასამართლო გადაწყვეტილებების მიდგომები არაკეთილსინდისიერი სუბიექტის სახელმწიფო შესყიდვაში მონაწილეობის შეზღუდვასთან დაკავშირებით. დასკვნით ნაწილში შეჯამებულია განსახილველი საკითხი და მოცემულია რეკომენდაციები საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელ კანონმდებლობაში არაკეთილსინდისიერი სუბიექტის სახელმწიფო შესყიდვაში მონაწილეობის შეზღუდვის მექანიზმის სრულყოფის მიზნით.

საძიებო სიტყვები: სახელმწიფო შესყიდვები, არაკეთილსინდისიერი სუბიექტი, შეზღუდვის საფუძვლები, შეზღუდვა, შემსყიდველი, მიმწოდებელი, ეკონომიკური ოპერატორი, თვითწმენდა, ინტერესთა კონფლიქტი.

Abstract

The purpose of the master paper is to review the legislation, literature and case law of the EU and Georgia on the exclusion of dishonest economic operators in the state procurement.

It should be noted that there is almost no literature and hard to find case law regarding to this issue in Georgia. However, the final part of the master paper will consider the recommendations that are needed to increase the standard on the exclusion of dishonest economic operators in the state procurement in Georgia.

The master paper consists of five chapters. In the first chapter there is an introduction, the fifth chapter consists of the final part. The second chapter deals with general provisions concerning exclusion of economic operators in the state procurement of a dishonest subject. In the third and fourth chapters there are discussed EU and Georgian literature, legislation and case law concerning the restriction of participation in the state procurement of dishonest operator. The final part summarizes the issue and gives recommendations how to improve the mechanism on the exclusion of dishonest economic operators in the state procurement of Georgia.

Key words: State Procurement, dishonest supplier, exclusion grounds, exclusion, purchaser, supplier, economic operator, selfcleaning, conflict of interest.